საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-32/ნ
2015 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

,,სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის №01-27/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის №01-27/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 29.04.2014 წ., 470230000.22.035.016258) დამტკიცებული წესის (სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის:

1. „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ პირისა, რომელიც სასამართლომ ცნო მხარდაჭერის მიმღებ პირად ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;".

2. „გ" ქვეპუნქტის ,,გ.ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ზ) ფსიქიკური დაავადებები, რომლის დროსაც ავადმყოფი, არსებული წესების გათვალისწინებით, მიჩნეულია მხარდაჭერის მიმღებ პირად ან შეზღუდულქმედუნარიანად;".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**